ეროვნული ბიბლიოთეკა




კვირა, 8 მაისი | ფასი
№ 19 — 1916 | 10 კ.

## წელიწადი მეოთხე

მიიღება ხელის მოწერა 1916 წ. ჟურ
„თეატრი და ცხოვრებ
წელიწადი მეოთხე. (იხ. მე-4 გვ.)



† მგოსანი ირ. ევდოშვილი

(1873 – 1916)

### ირ. ევდოშვილის ხსოვნას

ჟამმა ჩამოჰკრა გლოვის ზარს,—შედგა სიცოცხლის დენანი...
აღსრულდა! ხსოვნას მიეცა აზრთა და გულის ვნებანი...
ბედის საზღვართან დაიმსხვრა თავგანწირული მერანი,
ტიალ სივრცეში ტიელად ისმის მის კვნესათ ბგერანი...
ჟამმა ჩამოჰკრა გლოვის ზარს, ზარი ყრუ სევდით გრიალებს.
ბოროტი სული ზეიმობს... წრფელი ცრემლები წკრიალებს,
სინათლის დროშა დაიხა, ბნელის ალამი ფრიალებს...

მიშ-ელი



### ირ. ევდოშვილს

გული გაკაჟდა, გაკაჟდა გული,—
დღეს მისთვისა ვარ დადუმებული...
როს ჩემი ერი სტირს, იცრემლება,
როცა სამშობლო ცრემლში იხრწნება,—
მე ჩუმად ვგლოვობ დადუმებული..
ამდენ ვაებით გაკაჟდა გული!..

ვეფხო-ფშაველი

## ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“

მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას, რომ 2 მაისს‘ დილით 4 ს.
თბილისში გარდაიცვალა

# მგოსანი იროდიონ ევდოშვილი

დღეს, 8 მაისს, დაიკრძალება დიდუბეში.

ეროვნული ბიბლიოთეკა


# თეატრი და ცხოვრება

№ 19

წელიწადი მეოთხე

**რედაქციის განცხადება**

წლიურად **5 მ.**, ნახევარ წლით **3 მ.** ცალკე ნომერი **10 კ.** ხელის მოწერა მიიღება „სორაპანი"ს სტამბაში ყოველ ჟამს. ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—ხელთნაწერები საჭიროებისამებრ შესწორდება.—რედაქტორთან პირისპირ მოლაპარაკება შეიძლება „სორაპანი"ს სტამბის კანტორაში—დილით **9—2 ს.**, საღამოთი **5—7 ს.**, ტელეფონი **№ 15-41**. მისამართი: **Тифлисъ, Ред. „Театри да Цховреба" Іос. Имедашвили**

№ 19 — კვირა, 8 მაისი — 1916 წ.


## 8 მაისი

**წყვეტილი სიმი**



**ირ. ევდოშვილი**

აჰა, ადამიანი, რომლის თითქმის მთელი სიცოცხლე ხორციელი და სულიერი წამება იყო...

და მაინც ქედს არ უხრიდა „ჩარჩ-უკუღმართ ამ ჩვენს დროსა": სამარის კარამდე შეუდრეკელად მიისწრაფოდა **წინ**, საუკეთესო მომავლისაკენ, და ხალხში უმაღლეს აზრებს აღვივებდა...

მადლიერი სამშობლო დღეს მისს ცხედარს დიდუბეში სამარეს მიაბარებს, ხოლო მისი სულის შემოქმედებას კი სახელმძღვანელოდ გულს ჩაიხუტებს...

ქართველი დემოკრატიის ვალია, მოწიწებით მუხლი მოიდრიკოს მისი კუბოს წინაშე და მადლობა უძღვნას.

—



**ალ. ივ. სუმბათაშვილი**

დღეს გვეწვევა **ძვირფასი** ჩვენი დროის **სასტუმარი** სცენო ხელოვნების დიდი ქურუმი, ალ. ივ. სუმბათაშვილი, რომელმაც მთელი ქართველის შორეული წარსული და აწმყო მისწრაფებანი ნაირფერ უკვდავ-უჭკნობ თაიგულად შეჰკონა და „ლალატი"-ს სახელით დაცემულ სამშობლოს ზეაღსადგენად მოუძღვნა. .

მშვიდობა მოსვლასა მისსა!..

## ი რ ო დ ი ო ნ ი

ჯერ კიდევ ნორჩი, ბრძოლის ქარცეცხლში გამოუმწვარი მოკრძალებით, მორიდებით ვიდექ ცხოვრების საიდუმლოების წინაშე.

გაუბედაობით, ყოყმანით, გამოუცნობის შიშით შეპყრობილი სულიერ ობლობას განვიცდიდი, იმედს უიმედობა ებრძოდა, სიხარულს სევდა სძლევდა...

ამ დროს მომესმა:

წინ, წინ! მედგრათ შევებრძოლოთ
ჩარჩ-უკუღმართ ამ ჩვენ დროსა,
ჭირის ოფლში გავატაროთ
სიმართლის და ძმობის დროშა!

უიმედობა დაიკარგა, სევდა გაიფანტა.

გულმხიარული, იმედით გარდაქმნილი ყურს ვუგდებდი საამო ხმებს, რომლებიც შვების, ნეტარების სხივებად ეშვებოდენ ჩემს გულში,—ჩემს ოცნებას სანეტარო სურათს უხატავდენ და შორს, შორს მიტაცებდენ.

მე ის არ მენახა, მე მას არ ვიცნობდი.

მაგრამ მისმა სიმღერამ გამაცნო, დამაახლოვა.

უცნობი, უხილავი შემიყვარდა.

ეს იყო იროდიონი.

და როდესაც მე ის პირველათ ვიხილე, ისე შევხვდი, როგორც დიდიხნის ნაცნობს, დიდიხნიდან მეგობარს, ძვირფას, საყვარელ მეგობარს და ეს სიყვარული აღარ გაწყვეტილა:

მან თან ჩაიტანა ჩემი სიყვარული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეც თან ჩავიტან იროდიონის სიყვარულს.

შეიძლება იროდიონი ვერც ილიას ამოვუყენოთ გვერდში, ვერც აკაკის, ვერც ვაჟას; მაგრამ ის მუდამ საყვარელი, მუდამ მიმზიდველი, მუდამ მომჯადოებელი იქნება მისთვის, ვინც იბრძვის, ვინც წინ მიისწრაფის, იქ—-

„სად ქარიშხალი დაჭქმუის უფსკრულს“:

იროდიონი, მხიარული და სევდიანი, იროდიონი ხან წყნარი და ტბილი, ხან გააფთრებული, ნაღველით და ბრაზით სავსე, იროდიონი მუდამ მოუსვენარი და მებრძოლი, იროდიონი მუდამ ღიმილიანი და ცრემლიანი, იროდიონი, რომელსაც ერთი ხელით იმედი მოაქვს და მეორეთი მომავლის დროშა, იროდიონი, რომლის პატიოსანი, კეთილშობილი გული სიკვდილის კართანაც კი ტანჯული მოძმისათვის ძგერდა—ეს ხომ სულია დღევანდელი საქართველოსი, ტანჯული, წამებული და წამებაში კიდევ უფრო მშვენიერი, უფრო ლამაზი სული!

საქართველოც ხომ იროდიონივით იბრძვის და უკეთეს მომავალს ეძებს!

და ისე მოჰკვდე, ვერ მოჰისვენო!

მართლაც ისე მოკვდა!

იროდიონი არ იცნობდა მოსვენებას; მოსვენება არ იცნობდა იროდიონს.

მისი სიცოცხლე მოკლე იყო, მაგრამ გრძელი: უმეტესობა ასი წლის სიცოცხლით ვერ განიცდის მას, რაც იროდიონის სულმა მისი სხეულის ხანმოკლე სიცოცხლეში განიცადა.

ტალღათ ფაფარზე გამოზდილვარ,
არ ვარ ჩვეული მე მოსვენებას.

იროდიონი მთელი თავისი სიცოცხლე ზღვის ტალღა იყო, ტალღა—ხან ნაზათ მოლივლივე, უფრო ხშირათ კი გაშმაგებული, ბრძოლის წყურვილით აზობოქრებული.

ამიტომაც აბარებს ის თვისი ჩანგის კუბოს ზღვის ტალღებს:

თქვენ გადმოგიგდებთ კუბოს ჩანგისას,
თქვენ ერთად ერთი იცნობთ მეგობარს,
იცნობთ თავისად სულს მეგობრისას.
ნაპერწკალი ვარ მედგარ მეხისა,
მათ უმღეროდი ქებათა ქებას,

იროდიონი ნაპერწკალი იყო; ის ზოგს სწვავდა, ზოგს ათბობდა, ზოგსა ჰკლავდა, ზოგს აცოცხლებდა, ზოგს გულს უგმირავდა, ზოგს კი იმედის სხივებათ ეფინებოდა.

იროდიონის მოუსვენარი, მებრძოლი სული მუდამ ეძებდა...

ეძებდა სიმართლეს, ეძებდა ჭეშმარიტებას, ეძებდა ტანჯულთა და ტვირთ მძიმეთა აღთქმის ქვეყანას.

კიდევ ეძებდა თავის სამშობლოს ..

და ჰპოვა ის—იუდასაგან გაყიდული. და როდესაც მისი გაყიდული სამშობლო იუდას დასთრგუნავს, იროდიონს თავის საპატიო რჩეულ შვილთა შორის ძეგლს აუმართავს და ზედ წითელ ასოებით აღბეჭდავს:

აი ძე ჩემი, რომელიც მე განსაკუთრებით შევიყვარეო.

**ივ. გომართელი**



**ირ. ევდოშვილი 1900—1905 წლებში**

# წამებულთა წამებული

**† იროდიონ ევდოშვილი**

წინ, წინ გ სწით, მეგობრებო,
ნუ შედრკება თქვენი გული,—
დე, მკერდს სისხლის ღალი აჩნდეს,
და შუბლს ოფლის ნაკადული!..

ასეთ გმირულ სიტყვებით მოუწოდა მაშვრალთა ბანაკს იმან, რომელმაც თვისი სიკვდილით გასულ ორშაბათს, 2 მაისს, კიდევ ერთხელ ააკვნესა ჩვენი წამებული სამშობლო...

ვისაც ქართველი დემოკრატიის გამოფხიზლება, დავაჟკაცება და წელში გამართვა—უკეთესი მერმისისათვის ბრძოლა რადმე მიაჩნია, ის

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვერდს ვერ აუხვევს დღეს კუბოში მდებარე წამებულთათვის წამებული მგოსნის, იროდიონ ევდოშვილის სახელს. .

ის ხომ მშრომელი ხალხის გამოფხიზლების მედროშე იყო—ამაყი, შეუდრეკელი: დაუდეგარი...

მიუძღოდა მშრომელთა რაზმს და თან წარბშეუხრელად შესძახოდა:

და მიდიოდა წინ!..

დაუდეგარი ადამიანი დაუდგრომელმა ცხოვრებამ ვერ მოხარა, მაგრამ წელში კი გასწყვიტა!..

—

მუშათა მოძრაობის ჩამიჩუმი არც კი ისმოდა, რომ იროდიონმა, თითქო აღდგო აიდოვო, ბრძოლის ჭანგზე მომართა ჩანგი და საუკუნოებით მონად ქმნილ შრომის შვილთ ბრძოლად მოუწოდა...

მოძრაობა გაჩაღდა... და იროდიონი არა თუ მარტო კალმით, ლექსთა წყობით, არამედ საქმითაც ხალხში ჩაერია, მოძრაობაში ჩაება და მუშათა პირველ რაზმებში—სოციალ-დემოკრატიაში—

„ამაყად მდგომი და გულზვიადი“

თავისი ცეცხლოვანი სიტყვით თანამოძმეთ აღთქმის ქვეყნისკენ მიუძღოდა...

მოძრაობა მინელდა... მგოსან-მებრძოლმა თითქო თავის თავის ცალმხრივობა დაინახაო, პროგრამულ მოლექსეობას თავი დაადწია და მშობელი ერის—მთელი სამშობლოს გულისთქმათა გამომთქმელად შეიქმნა...

და სამარეს კარამდე არ შეუწყვეტია მოთქმა-მოწოდება!..

ცხოვრება მისი გაუნელებელი წამება იყო, ის იყო უკანასკნელი ოცეული წლის ქართველი დემოკრატიის წარმოშობის, აღზრდისა და მის საუკეთესო იდეალთა გამოსახულება!..

და ამითი იგი ჩვენის ქვეყნის უკვდავთა შორის ჩაირიცხა!..

ცხოვრებამ ასვა შხამი-სამსალა და იგი სავსებით ჩვენის ქვეყნისა და დემოკრატიის მტარვალთა გულსაგმირავად გადმოიცალა!..



**ირ. ევდოშვილი 1908—1910 წ.**

გულხელი დაიკრიბა მგოსანმა, მაგრამ მისი ჩანგის სიმები კიდევ დიდხანს იწკრიალებს და ძილში მყოფთ წინ, წინ სვლელად მოუწოდებს...

ვინ იყო იგი?

—

იროდიონი ქიზიყელი იყო, სოფლის მთავრის ისაკ ხოსიტაშვილის შვილი, დაიბადა სოფ. ბოდბისხევში, სიღნაღ. მაზ., 1873 წ. ევდოშვილად იწოდა დედის სახსოვრად, რომელსაც ევდო (ევდოკიმე) ერქვა. სწავლა ძმამ დააწყებინა, პირველ დაწყებითი სწავლა მიიღო სიღნაღის საქალაქო სასწავლებელში, 1887 წელს თელავის სასულიერო სასწავლებელში მიაბარეს, სადაც კურსი გაათავა 1891 წელს და იმავე დროს თბ. სას. სემინარიაში შევიდა, მაგრამ კურსი ვერ დაასრულა: მესამე კლასიდან დაითხოვეს ნებადაურთველ წიგნების კითხვის გამო. 1895 წ. „ვოლნოოპრედელიაიუშჩად“ შევიდა, შემდეგ წელს პრაპორჩიკობა მიიღო და სამსახურიდანაც გამოვიდა.

მწერლობის სიყვარული პატარაობიდანვე გაეღვიძა გულში და გატაცებით დაეწაფა სამშობლო მწერლობას,—(სხვათა შორის მასზე დიდი გავლენა მოახდინა „ნობათში“ ამოკითხულმა მოთხრობა-ლექსებმა). მწერლობა სემინარიაშივე დაიწყო და 1893 წ. „კვალში“ დაბეჭდა თავისი პირველი ლექსი „გუბე“, რომელიც თითქმის ქვაკუთხედათ დაედო მისი პირველი ხანის სამწერლო მიმართულებას.

ამის შემდეგ თანამშრომლობდა სხვა და სხვა ჟურნალ-გაზეთებში — სწერდა ლექსებს, ფელეტონებს (რიგოლეტოს და სხ. ფსევდონიმით) და სხ. 1897 წ. ბაქოში მსახურებდა „ნობელის კანტორაში“, შემდეგ მაჩხაანის დეპოში. დაახლოებით 1899 წ. „ივერიის“ რედაქციაში დაიწყო მუდმივი თანამშრომლობა და ამავე ხანებში ქართულ სცენაზედაც სცადა ბედი, — ვგონებ გასით როლი შეასრულა, ქებითაც მოიხსენიეს, მაგრამ მალე დარწმუნდა, რო მისი მოწოდება სცენა არ იყო.

„კვალის“ გამოცემას რომ ნოე ჟორდანია ჩაუდგა სათავეში, იროდიონი „კვალის“ მუდმივი თანამშრომელი შეიქმნა, შემდეგ (1900—1903) თითქმის „კვალის“ ერთად ერთი ხელმძღვანელი. „დემოკრატიულ პოეზიას“, თუ შეიძლება ასე ითქვას, ამ დროიდან დაუდო საფუძველი.

რუს-იაპონიის ომის დროს, 1894 წ. სამსახურში გაიწვიეს, მაგრამ 1905 წ. ისევ გამოვიდა.

1908 წ. საადგილ-მამულო ბანკში მსახურებდა, 1909 წ. დაიჭირეს, ათი თვე მეტეხის ციხეში ამყოფეს და შემდეგ ვოლოგდის გუბერნიაში გადაასახლეს, ქ. სელვიჩეგოროდში, ავადმყოფობის გამო ასტრახანს გადიყვანეს, ქ. ჩორნიიარში. 1913 წ. სამშობლოში დაბრუნდა, უკვე ჯანგატეხილი, დასნეულებული. ქართველმა საზოგადოებამ ბეჯითი ყურადღება მიაქცია და შესაფერი მზრუნველობაც აღმოუჩინა, მაგრამ საზარელ სენს — ჭლექს ვედარ გამოსტაცეს ხელიდან: სოხუმიდამ თბილისს დაბრუნებული გარდაიცვალა 2 მაისს, დილის 4 ს. დარჩა მეუღლე და ოთხი წვრილი შვილი — ერთი ვაჟი და სამი ქალი, თითქმის ყოველგვარ სახსარს მოკლებული.

—

მგოსანმა დიდი გაჭირვება გამოიარა სიმშილ-სიცივე, დევნა-შევიწროვება თითქმის მისი განუყრელი მეგობრები იყვნენ და ამიტომაც არის, რომ თითქმის ყველა თავის ლექსში ბედკრულთა კერას დასტრიალებს თავს.

მისი „ლექსები და პოემები“. პირველად გამოსცეს 1896 წ. იოსებ იმედაშვილმა და ს. ჭელიძემ, მეორედ — გ. წულუკიძემ — 1903 წ., მესამედ — ასლან კალანდაძემ — 1905 წ., მეოთხედ — 1916 წ.

ლექსებისა და პოემების გარდა, დაწერილი აქვს საყმაწვილო და სხვა მოთხრობები, უმთავრესად ღარიბ-ღატაკთა ცხოვრებიდან, ერთი პიესა „ჭრელი სუფრა“, გადმოთარგმნილი — „შრომის ლუკმა“ და სხ. ცალკ-ცალკე გამოცემულია რამდენიმე მოთხრობა.

ირ. ევდოშვილის ლექსები ვრცლად გარჩეულია იპ. ვართაგავას მიერ ჟურ. „განათლებაში!“

—

რას უმღეროდა ირ. ევდოშვილი?

ევდოშვილის ლირიკის მთავარი მიზანია „უკუღმართ დროსთან ბრძოლა და ბრძოლა“, მშრომელთა გამოფხიზლებაა:

„სხვისთვის ქსოვ ფარჩას,
შენ კი გრჩება კონკისა ძველი,
ასე რად ჰხდება?—
ჰკითხე მაინც შენს თავს ერთხელა?!

გადასძახა შრომის შვილებს. მას აბრაზებდა ცხოვრების სუფრის უსამართლოდ გაშლა: ერთის მხრით ნებიერთა განცხრომა, მჩაგვრელთა სიცილ-ხარხარი, მეორე მხრით — მშრომელთა და ჩაგრულთა სევდა-ვარამი, სარჩობელა და ბორკილთ ჩხარუნი.

„მე ჩემს გარშემო მომესმის კვნესა,
მაშვრალი ხალხი ტვირთ ქვეშა გმინავს,
მათი ვაება... უსამართლობა
ვით ისარი გულსა მიგმირავს“...

გვითხრა მგოსანმა და ამ „მაშვრალი ხალხის“ ზეაღსადგენად მომართა ქნარი.

ასე იყო მოძრაობამდე, ხოლო შემდეგ, როდესაც დარწმუნდა, რომ ჩვენ სხვისთვის ვიყავით, ჩვენთვის არავინ, ჩვენ „ჰალა ჰალას ვიძახდით, სხვები კი მწყერს იჭერდენ“, როდესაც დარწმუნდა, რომ ჩვენი სამშობლო ფეხქვეშ იქელებოდა, რომ ჩვენს მამულში „სისხლი ქართვლისაა, მიწა კი სხვისა“, როცა დარწმუნდა, რომ ჩვენს „გარშემო

სხვები ლაღობენ, მართავენ ლხენას,
თავისი ერის ბედნიერებას
სძღვნიან სიყვარულს და აღმაფრენას“,

ჩვენ კი ჩვენივე ქვეყნის გერად ვართ მიჩნეული, სირცხვილის ალმა შუბლს გადაჰკრა და მამულიშვილურ ჰანგზე დაიწყო მღერა...

პირად მისწრაფებათა გამოთქმა, ცხოვრების გარე ხეტიალი, „ხელოვნება ხელოვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნებისთვის«, მას არაფრად მიაჩნდა: მას ცხოვრების სინამდვილეში მაგრად ედგა ფეხი და ყველასათვის გასაგები ენითა და მხატვრული ფერადებით ჩვენი ერის დაწინაურებას უწყობდა ხელს. როგორც დემოკრატიულ იდეების გამავრცელებელმა მწერალმა, ჩვენს მწერლობაში ღრმა კვალი გაავლო და საპატიო სახელიც მოიხვეჭა.

მას, ორგინალურ ნაწარმოებთა გარდა, უცხო მწერალთა ნაწარმოებიც აქვს გადმოღებული ამავე მიმართულებისა, რითაც ქართული მწერლობა წინ წასწია. მისი ზოგიერთი ნაწარმოები რუსულსა და სომხურ ენებზეა გადაღებული. ხანდისხან თვითონაც სწერდა რუსულს ენაზე ფელეტონებს.

ჩვენებურმა პარტიულმა შეუწყნარებლობამ მგოსანს არა ნაკლები შხამი-სამსალა შეასვა... წინად მუშათა პარტიის მიერ ხელის ხელ საგოგმანებელად მიჩნეული მგოსან-მქადაგებელი, ბოლო ხანებში „ძირს დაანარცხეს“, ვითომ გარისხეს..

მოვა დრო, ქართველი მუშა ხალხი გათვითცნობიერდება და მაშინ დაინახავს, როგორ სცდებოდენ ისინი, ვინც მგოსან-მქადაგებელს ტალახს ესროდენ... ევდოშვილი უმთავრესად ქართველი დემოკრატიის მგოსანი-მქადაგებელი იყო და ასეთადაც დარჩება...

ჩვენი ნატვრაა, ქართველი მუშა ხალხი არა მხოლოდ გარეგნულად, სულიერადაც მალე გაზრდილიყოს და, თავისი საყვარული მგოსნის იდეალთა განხორციელებას მტკიცედ შესდგომოდეს..

და მისი სულიც — იროდიონის წამებული სულიც — მხოლოდ მაშინ განისვენებს მშვიდათ!..

**იოსებ არიმათიელი**



მსახიობქალი ო. მ ოლექო, პოლკოვნიკ მიხეილ მირზაშვილის ასული.
1904 წ. მოსკოვის დრამ. კურსებზე შევიდა, კურსის დამთავრების შემდეგ რუსეთისა და ციმბირის სხვადასხვა ქალაქებში იმსახურა და დიდი სახელი მოიხვეჭა. მოსკოვის არტისტებმა აირჩიეს დელეგატად რუსეთის სცენის მოღვაწეთა ყრილობაზე დასასწრებლად. სამშობლო ენის გარდა, იცის ფრანგული, ინგლისური და სხ. ენები.

# მუხის ნაამბობი

ას წლოვანი მუხა მეტად დაღვრემილი იყო, როცა ბინდისას მაზედ ბულბული შემოჯდა და თავისებურად დაუსტვინა. მგალობელი მარგალიტებივით აზნევდა და სცრიდა თავის ჭახჭახა ხმას. არე-მარე გაცოცხლდა, ფოთლებმა შრიალი მორთეს და მუხამაც ამოიკვნესა.

— შენ, დაღვრემილო მუხავ, განა შეგიძლიან კვნესა? შეეკითხა ბულბული, როცა შესწყვიტა თავისი მომხიბლავი გალობა.

— მე შემიძლიან კვნესა?! მაშ რისთვის ვარ დაღვრემილი? ბევრსა ჰგონია, რომ მე აქ უგრძნობლათ ვდგევარ მარტო ფრინველთა საჯდომათ! ის კი არ იციან, რომ თითოეული ჩემი ფოთოლი, თითოეული ჩემი ტოტი და კანის ძაფები გრძნობიერებით არიან აღჭურვილი და არც ერთი შემთხვევა არ გამოეპარებათ შეუმჩნევლად. ეჰ, ბევრი რამეს მომსწრე და მოწამე ვარ! მაშ რისთვის ვარ დაღვრემილი!?

— შენ დიდხანს სცოცხლობ ქვეყნად! მითხარი რამე შენგან ნასმენ-ნახული, რომ მეც შენის მოთხრობით მოვმართო ჩანგის სიმები და შესაფერი ჰანგები გადავაფრქვიო არემარეს!

მუხამ ფოთლები შეაშრიალა, თითქო რაღაც დარდი გადაიყარა გულიდანაო, და ბულბულს უპასუხა:

— თუ შენ მაგრე მონდომილი ხარ, გაიგონო ჩემგან რამე, ჯერ წადი და, აი ჩემს გვერდით რომ ახალი საფლავი მოსჩანს, იქ დააპნიე სამგლოვიარო ჰანგები, იქ დაჰკვნესე და ჩემსავით ააკვნესე მიდუმებული ყვავილ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნი, ბალახნი და მცენარენი, მეც ამატირე და და შემდეგ მოდი და მეც გიამბობ იქ დამარხულის ამბავს.

რამდენიმე წუთის შემდეგ მუხა, თითქო ცრემლების წმენდით, ემეტყველებოდა ბულბულს.

— ბევრი რამის მომსწრე ვარ, მაგრამ არაფერს ჩემთვის არ დაუჩნევია ისეთი გულსაკლავი დაღი, როგორც აი იმ საფლავის პატრონს.

იქ ასამარია მშვენიერი ადამიანი, მშვენიერი ვაჟკაცი ვახტანგი.

სულ ხუთი წელია, რაც ის, რუსეთში სწავლის დასრულების შემდეგ, დაბრუნდა სოფლად და შეირთო აქაური მებატონის ქალი ბაბო, რომელსაც ის-ის იყო ახლად დაესრულებინა გიმნაზია.

გაიხედე მარცხნივ და იქ, სახლის ეზოში, უთუოდ შეამჩნევ შავებით დაბაძულ ქალს თმა-ქუჩეჩა ცქ-იალა ბავშვით — სწორედ ისინი არიან ვ ხტანგის ცოლი და შვილი.

ეხლა ჩაიხედე, მარჯვნივ რომ სახლი დგას, იმის ეზოში: იქაკ დაინახავ მეტის-მეტად დამწუხარებულ ახალგაზრდა ქალს, ანიკოს. ის... ის იყო საწყალი ვახტანგის ტრფობის საგანი, ის იყო მისი მწვავე სიყვარული, ის იყო მისი სული და გული.

ისიც მეორე მებატონის ერთად ერთი ქალი იყო, ლამაზი, სათნო და ჯეირანივით ყელმოღერებული.

მე, როგორც ხედავ, ორივე სახლზედ ერთ მანძილზე ვარ დაშორებული.

ღამით, როცა ყველას მიეძინებოდა, აქ ჩემ ქვეშ შეიყრებოდენ ვახტანგი და ანიკო. მათ სიყვარულს, მათი ალერსობის ცეცხლს ჩემი ძირები და ტანიც გრძნობდა.

შენ მიხვდები, მგოსანო, რომ ჭეშმარიტ სიყვარულზედ ულამაზესი ორ ახალგაზრდათა შორის არაფერია: ეს ცხოვრების გაზაფხულზედ ახალ მოსული ყვავილია, რომლის ქვრეტასაც არაფერი სჯობია!

... და მეც მოწამე ვიყავ ამ მშვენიერების განცდისა.

მიაცილებდა ვახტანგი ანიკოს სახლამდის, დაბრუნდებოდა, ჩაიკეცებოდა ჩემ ქვეშ და გმინავდა, საშინლად გმინავდა...

— მე, ქმარი და მამა, ვღალატობ ცოლსაც და შვილსაც. მე მიყვარს ანიკო და იმავე დროს ველერსები ბაბოს და სიკოს! რა ვქნა, ვერ გავექეცი გულის ტოკვას! ვერ ვსთმობ ანიკოს, ვერ ვსთმობ ვერც ბაბოს და სიკოს! იმათ შევეჩვიე, შევესისხლხორცე, ისინი ჩემი თვალის ჩ ნი არიან... მაგრამ ანიკო ჩემი გულია! უგულოთ განა სიცოცხლე შეიძლება? ანიკო ის დამატებაა ჩემთვის, რაც ჩემს არსებას აკლია. ვაჰმე! ვაჰმე ვერ ვიცოცხლებ ვერც ერთის და ვერც მეორეთა დაკარგვით. მაშინ ჩემი არსება დაირღვევა, დაიფუშება, გაფუჭდება! სინიდისი!? ოჰ, სინიდისი! რათ მტანჯავს ის, ჩემში ტრადიციით ჩამოწნილ ჩამოქსოვილი?!

სწუხდა საწყალი ვახტანგი.

მეც ვწუხდი, მისი მაყურებელი.

განა ჩემს ტოტებზე ცოტა სიყვარულის ბუდეები გაბმულა? რამდენ ფრინველს გაუმართავს ქორწილი ჩემს ფოთოლთა შორის! მეც მოხარული ვიყავი მათი შეუღლებისა და გულში მაყრულსაც ვუმღერდი ხოლმე, მაგრამ არასოდეს მათი ტანჯვა მე არ მინახავს. თავისუფლად ეალერსებოდენ გულის სწორს და მოურიდებლათ შეფრფინვიდენ ერთი მეორეს. არც ძ ლდატანება, არც ჩახვეული გულის თქმა! უჰ, თურმე რა დიდი საგანძური ყოფილა თავისუფლება!

ასე ვფიქრობდი მე, ვახტანგის მაყურებელი, და ეს ჩემი ნაფიქრი თითქო გადაეცემოდა მასაც.

— „მეო“, განაგრძობდა ის: „ქმილებათა გვირგვინი, მოკლებული ვარ უფლებას, განუსჯელათ შევიყვარო, ვინცა მსურს! განა ბოროტებას ვუშვრები ვისმე, განა თვინიერ წმინდა და მხურვალე გრძნობისა სხვა რამ ანგარება მიმაქვს წმინდა სამსხვერპლოზე? მაშ რაღათ ვიტანჯვი?! არა, ასე ცხოვრება აღარ შეიძლება!.. ბაბო! ანიკო! სიკო!..“ აღრიალდებოდა ბეჩავი.

მუხამ თითქო სული ამოითქვაო, ფოთლები შეაშრიალა და განაგრძო:

— მოსიყვარულე ბაბოს გულს არ გამოეპარა ვახტანგის და ანიკოს სიყვარული. ხში-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რად გავყურებდი აქედან ცოლქმართა შორის უსიამოვნებას. ბაბო ანჩხლობდა, ვახტანგი კი თავჩაღუნული იჯდა, ან გაშმაგებით ბოლთასა სცემდა ეზოში.

ერთ საღამოს თავ-გაწეწილი ბაბო ჩემსკენ გამოექანა. მისი ანთებული თვალები ცეცხლებსა ჰყრიდენ. ჩემ ქვეშ გაჩერდა და გაბრაზებით დაიწყო ანიკოს სახლისკენ ყურება. ბაგეს იკვნეტდა და პაწაწა მუშტებით იმუქრებოდა.

— მაწანწალა! ქუჩის გოგო! ქმარს მართმევ? უნამუსო! უნამუსო!..

დიდხანს იდგა ბაბო გაბრაზებული, ბოლოს რაღაცა ფიქრებმა გაიტაცეს და მოლბა.

— ჩემი ვახტანგი! ჩემი სიკო! წამოიძახა მან ბოლოს და მოდუნებულის ნაბიჯით გასწია თავის სახლისაკენ.

შუაღამისას ვახტანგი, ანიკოდან დაბრუნებული, ისევ ჩემ ქვეშ ჩამოჯდა და მომეყრდნო.

კვნესოდა, სწუხდა და იტანჯებოდა. ბოლოს დაეცა პირქვე მიწაზე და დაუწყო კოცნა იმ ადგილს, სადაც ანიკოს მოისვამდა ხოლმე გვერდით საალერსოდ.

— ჩემო ბაბო! ჩემო სიკო! წამოიძახა მან და გიჟივით გაიქცა სახლისაკენ.

ახალ გათენებული იყო. მზეს კიდევ არ ამოეყო თავი. გაღვიძებული ბუნება სასიცოცხლო ფერხულში ებმებოდა...

უცებ ვახტანგმა თავის სახლის კარი გამოაღო და ჩემკენ გამოექანა. აჩქარებით მოდიოდა და ხელებს უხეიროდ შლიდა. შევნიშნე, რომ ხელში რაღაცა რკინეული უბრჭყვიალებდა.

მოვიდა ჩემ ძირში და გაჩერდა.

— ვეღარ ავიტანე ამდენი თქვენი და ჩემი ტანჯვა, ძვირფასო ცოლო და შვილო! ვერც შენს სიყვარულს გავექეც, ჩემო სიცოცხლევ ანიკო! აბა შემომხედეთ, როგორ ვიწვი ორ ცეცხლშუა! მე ვღალატობდი ჩემს სინიდისს, მე ვღალატობდი ჩემს გულს... ვერ შევარიგე ერთმანეთს ეს ორი მოპირდაპირე და, ვიცი, არც შემარიგებინებს ცხოვრება!.. მაშ!.. მშვიდობით, ჩემო ძვირფასნო! თქვენ ვერ გაიგეთ, რომ ჩემთვის ყველანი ერთი მეორის დამატება იყავით და ვერც ერთს ვერ შეგელეოდი ცალ-ცალკე! ერთით ვსუნთქავდი, მეორეთი ვსაზრდოობდი! თქვენ კი გინდოდათ ერთ-ერთის საკუთრება ვყოფილიყავ! ვერ მოვახერხე და სამუდამოთ გეთხოვები ორთავეს.. სამთავეს!..“

მე სულგანაბული ვუსმენდი ახალგაზდა კაცს და თითონაც ვიტანჯებოდი.

უცებ საზარელი გრიალი გაისმა... არემარე ახმაურდა. კვამლმა დაფარა ჩემ ქვეშე ყველაფერი.

როცა ნიავმა გაჰფანტა ბოლი, ვახტანგი უსულოთ ეგდო ჩემს ძირში სისხლით მოსვრილი.

არ გასულა ათი წუთი, რომ ანიკოც და ბაბოც გიჟივით მივარდენ ვახტანგის ცხედარს. ალბათ მოყვარულმა გულებმა მაშინვე იგრძნეს, თუ რის მომასწავებელი იყო დამბაჩის ხმა.

ორივე დაურიდებლათ ჩაეკონენ ვახტანგის გვამს და მდუღარე ცრემლებს აფრქვევდენ მას. ერთმანეთის აღარ ერიდებოდათ, თითქო ორივენი გრძნობდენ თანასწორ უფლებიანობას, გრძნობდენ განუზომელ მწუხარებას. აქ მეტოქეობას ადგილი აღარ ქონდა. ორივეს გულში ერთნაირი ბოღმა ტრიალებდა, ორივენი ჰკარგავდენ უძვირფასეს ადამიანს...

განშორების დროს ორივემ შეხედეს ერთმანეთს, მაგრამ არც ერთს და არც მეორეს ერთმანეთისადმი შური და ზიზღი აღარ ემჩნეოდათ... ალბათ ეხლა გაიგეს, რომ იმათ მიიყვანეს ვახტანგი საფლავის კარებამდის... გაიგეს, მაგრამ გვიანი იყო.

თუ საღამოობით დღევანდელზედ უფრო ადრე მოფრინდები, შენ თითონ ნახავ, რომ ბაბოც და ანიკოც ყვავილებით ამკობენ ვახტანგის საფლავს და მდუღარე ცრემლებს აფრქვევენ მას. იქვე ჩამოჯდებიან ერთად საფლავის ქვაზე და მწუხარედ უსცქერიან ერთმანეთს. ბოლოს მეგობრულად გამოეთხოვებიან ერთი მეორეს და გასწევენ თავის სახლისაკენ. ჭეშმარიტად დიდია ორივეს გულში ვახტანგის სიყვარული!

ასე დაასრულა მუხამ თავისი მოთხრობა და ბულბულიც დიდ გაკვირვებას მიეცა.

განა თითონ მუხას კი არ უკვირდა თავისი მოთხრობილი ამბავი?!

ფ. რუშაველი

ეროვნული ბიბლიოთეკა



მეფის ნაცვალი
დიდი მ. ი. უ. ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე
საერობო თათბირის მოწვევის გამო



თავ. კ. ნ. აფხაზი
სხვა და სხვა

# ერობა

რამდენი ხანია, ჩვენი ქვეყანა ერობას ნატრობს; ერობის საკითხი რამდენჯერმე წამოაყენა ჩვენში თვითონ მთავრობამ და მანვე წაიღო უკან.

დღეს ამ კითხვამ ხელახლა წამოჰყო თავი და გამოიწვია კამათი როგორც მწერლობაში, ისე საზოგადოებაში. პრინციპი, მიზანი ერობისა საზოგადოთ ასეთია: ადგილობრივი მცხოვრებლები მაგალითათ ერთი რომელიმე მაზრა თვითონ უნდა განაგებდეს და აწარმოებდეს თავის ეკონომიური ხასიათის საქმეებს. ის ხელს უწყობს ვაჭრობა-მრეწველობისა და მეურნეობის განვითარებას, გაჰყავს გზები, სარწყავი არხები, აარსებს საავადმყოფოებს, სხვა და სხვა ტიპის სამეურნეო, სახელოსნო სასწავლებლებს და სხვ. ამისათვის ჰკრებს საერობო გადასახადს და ხარჯავს მას ადგილობრივი საჭიროებისათვის.

ხალხის ეკონომიური ცხოვრების წარმატებისათვის რომ ერობა სასარგებლოა, ეს ცხადია; მაშასადამე ერობა საჭიროა და სასურველი ყველგან.

საკამათო თვითონ ერობა კი არ არის, არამედ ერობის ტიპი, მისი შემადგენლობა.

რაკი ერობა განაგებს მაგალითათ შორაპნის მაზრის ეკონომიურ საქმეებს, ამ საქმეების წინ წასაძლოლათ ერობა მცხოვრებლებში ჰკრეფს ფულს და თვითონ ჰხარჯავს, ცხადია შორაპნის მაზრის მთელი მცხოვრებლები: გლეხი, აზნაური, თავადი, ერის კაცი და მღვდელი — ყველა ერთნაირათ უნდა შედიოდეს ამ ერობაში და ყველა თანასწორის უფლებით სარგებლობდეს.

ამას მოითხოვს სამართლიანობა და საქმის სარგებლობა.

სინამდვილე კი სრულებით სხვას გვეუბნება. რუსეთში ერობა დამტკიცდა 1864 წ. მას შემდეგ მთავრობამ დაუწყო ამ ერობას მაკრატლით შესწორება, ჩამოაცალა, რისი ჩამოცლაც კი შეიძლებოდა და დღეს არსებობს 1890 წლის ერობა.

ამ კანონით ერობა არის ვიწრო წოდებრივი, ერობის მთელი საქმეები, მთელი მართვა-გამგეობა არის თავად-აზნაურობის ხელში, გლეხობისა კი შიგ მხოლოდ ნასახია. დღევანდელ ერობაში დემოკრატია განდევნილია, სამაგიეროთ გაბატონებულია არისტოკრატია.

ამ ტიპის ერობას თხოულობენ ჩვენშიაც და აშკარაც არის, სხვანაირ ერობას მთავრობა ჩვენ არ მოგვცემს; დღევანდელს პირობებში ხალხს არ შეუძლია თავისი საკუთარი, დემოკრატიული ერობა მოიპოვოს.

მაშ რა უნდა ვქნათ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საერობო თათბირზე






თავ. დ. ო. ნიჟარაძე ა მარ. ბეგ თოფჩიბაშევი გ. დ. ჟურული თავ. დ. ე. ჩოლოყაშვილი
სექციათა თავმჯდომარენი და მათი ამხანაგნი.

— არ გვინდა ასეთი ერობა, საიდანაც დემოკრატია განდევნილია, მოგვესმის ერთის მხრიდამ.

მოგვეცით ასეთი ერობა, დღეს ჩვენ მეტი არ გვინდაო, ამბობენ სხვები.

წარმოიდგინეთ, რომ ვისმე მართებს თქვენი ასი თუმანი. ბევრი თხოვნა მუქარის შემდეგ გეუბნებათ: თუ გინდა, ათი თუმანი მიიღე, თუ არა და ერთს კაპეიკს მეტს არ მოგცემო. როგორ უნდა მოიქცეთ?

თუ გონიერებას აჰყვებით, გამოართმევთ ათ თუმანს და შემდეგ ეცდებით დანარჩენი ამოიგოთ. თუ ვერ ამოიგეთ, ეს ათი თუმანი ხომ მაინც შეგრჩებათ?

თუ გულის წყრომას აჰყვებით, რასაკვირველია არ მიიღებთ, მაგრამ თუ ვერაფერი ამოიგეთ, მაშინ ათი თუმანიც დაგეკარგებათ.

რუსეთის ბიუროკრატია მსხვილი მოვალეა. ამას ბევრი რამე მართებს ჩვენი ხალხისა, მაგრამ ერთბაშად მოცემა ეძნელება, უარზეა და დღეს გვაწვდის 1890 წლის უკუდო ერობას.

გონიერება მოითხოვს, ეს ერობა მივიღოთ და შემდეგ თუ კი შევიძლებთ და ამ ერობას კუდს გამოვაბამთ, ვინ დაგვიშლის.

ამგვარ ერობას ჩვენ მადლობით კი არ მივიღებთ, არამედ იმ იმედით, რომ ცოტა წელში მოვმაგრდეთ და შემდეგ უკეთესი მოვიპოვოთ.

თუ ერთბაშად არ შეგვიძლია ჩვენი ვალის აღება, რა საწინააღმდეგო იქნება, რომ ნაწილნაწილ ავიღოთ?

საკითხავი მხოლოდ ის არის არსებულ ტიპის ერობას შეუძლია თუ არა, რაიმე სარგებლობა მოუტანოს ხალხს.

1890 წლის ერობა უმთავრესათ მემამულეთა ხელშია.

რაკი ასეთი ერობა განხორციელდება ჩვენში საერობო დაწესებულებანი თავად-აზნაურობის ხელში იქნება.

მაშასადამე ყოველისფერი გაკეთდება მხოლოდ თავად-აზნაურობის სასარგებლოთ და გლეხობას, მშრომელ ხალხს კი არაფერიო, იფიქრებს ბევრი; მაგრამ ამგვარი „მაშასადამე“ სიმართლესთან დაშორებული იქნება.

თუმცა ერობის შემადგენლობა ვიწრო წოდებრივია, მაგრამ ვიწრო წოდებრივი არ არის ის საქმე, რომელსაც ერობა ახორციელებს.

რაც უნდა ეცადოს ერობაში მოქცეული თავად-აზნაურობა მარტო თავისთვის გააკეთოს ყოველივე, ამას ვერ მოახერხებს და აი რატომ.

ერობამ უნდა გააკეთოს სოფლებში გზები. გზა წოდებრივი რამ არ არის: იმით ისარგებლებს სოფლის ყველა მცხოვრები.

ერობა გახსნის სასწავლებლებს დაბებში, სოფლათ, სამაზრო ქალაქებში. აქ ისწავლის

ყველა— გლეხიც, აზნაურიც.

ერობა დააარსებს საავადმყოფოებს; აქ დახმარებას აღმოუჩენენ ყველას—გლეხსაც, აზნაურსაც.

დაიმშა ხალხი მოუსავლობისა გამო. ერობა ეცდება ხალხს სარჩო მოუპოვოს განურჩევლათ წოდებისა.

გაჩნდა საქონლის ჭირი?

რანაირათ შეიძლება, რომ ერობის მოხელეებმა თავადის საქონელი დაიფარონ, გლეხისა კი არა.

და მრავალი სხვ.

ერთის სიტყვით, რა ვიწრო წოდებრივიც უნდა იყოს ერობა, შეუძლებელია, რომ მან ცოტა სარგებლობა მაინც არ მოუტანოს ხალხს; შეუძლებელია, რომ ერობის ხელში ჩვენი სოფლის ცხოვრება უკეთესი არ შეიქნეს, ვიდრე დღეს არის.

რუსეთში თავად-აზნაურობა ბევრათ ძლიერია ვიდრე, ჩვენში.

მიუხედავათ ამისა ჩვენ ვერ ვიტყვით, რომ რუსეთში ერობას არავითარი სარგებლობა მოეტანოს ხალხისათვის.

ჩვენში დემოკრატია ძლიერია და შეგნებული, რომ მისი ზეგავლენით ერობამ ჩვენში ხალხის სასარგებლოთ არა გააკეთოსრა.

თუ დემოკრატია ერობიდან განდევნილი იქნება, რანაირათ იქონიებს ის ერობაზე გავლენასო, იკითხავს მკითხველი.

ჩვენი ქვეყანა პატარაა, დემოკრატია დღითიდღე ვითარდება, თვით ცნობიერდება, ძლიერდება და ამიტომ იმის გავლენას, იმის ზნეობრივ ძალას ჩვენში ვერც ერთი დაწესებულება ვერ ასცდება.

# ყვავილები
## ალბომში

(ბაირონიდან)

როგორც სამარე მარტოდ შთენილი
მგზავრის გულს უგზნებს ცეცხლის ალებსა,—
ეგრევ ეს ჩემი მკრთალი ნაწერი
დე, იზიდავდეს შენსა თვალებსა.
და, თუ ოდესმე, განვლილ წელთ შემდეგ,
კვლავ გადახსნდეს შენი მგოსანი,
აღმოიკითხო ვით ოცნებობდა
და ვით გეტრფოდა სულ-სხივოსანი,—
მაშინ იფიქრე, რომ მისი გული
ამ ლექსში არის მთლად დამარხული.

**ბეგლარ ახოსპირელი**

—

## მთვარის სიცილი...

მწუხრის შაირი, ნამად დნებოდა,
ტოტებ-დახრილი თვლემავდა შვინდი.
იფანტებოდა მოლურჯო ბინდი,
გზაზედ ჩრდილები იფინებოდა...
...მე გავყურებდი, შორეულ მხარეს,
კლდეზე ცეკვავდა ცვართა ჩანჩქერი
და რას ამბობდა ალმასთა ჩქერი
სატრფოს ღიმილსა თუ სიმწუხარეს?..—
მე ყურს ვუგდებდი ჩანჩქერს მქუხარეს...
გამიტაცებდა ფიქრების ზოლი,
ვთრთოდი, ვკვნესოდი როგორც ფოთოლი...
უცებ... შევნიშნე ლერწამთა შორი
სახე ძვირფასი, დამატყვეველი,
უკვდავ შვენების დამაფრქვეველი,
როგორიც იყო მაშინ ტყე-ველი...
როგორ დაღლილი და დაქანცული,
როგორი ნაზი და მოწყენილი!
ვით ჩემს ლექსებში ჩემივე სული,
ობლად შობილი, ობლად შთენილი...
და გაჰქრა... გაჰქრა ბედნიერება,
ვინ წარმიტაცა?.. ცრემლი მდიოდა...
და ხუჭუჭ ტყეშიც იფნის ფოთლებზე,
მთვარე, სიცილით ამოდიოდა!..

**გ. ლეონიძე**

—

* * *

## ერთხელ მეც ვიყავ...

ერთხელ მეც ვიყავ განცხრომის შვილი,
როცა მეფობდა დრო სანატრელი,
როცა მეფობდა თავისუფლება,
ფუფუნებაში იყო ყოველი...
ის დროც წაგვერთვა... დაჩაგრდა ხალხი...
სინათლის ნაცვლად დამყარდა ბნელი...
...და ეხლა დავალ ობოლ-ეული
ჩემ ტკბილ წარსულის მარად მძებნელი...

**ქ. ძიძაძე**

—

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მადლიანი ადამიანი



* * *

მინდა ბრძოლა მედგარი, ვნანობ რაც რომ ვიხანე,
მინდა ზღვა დავამარცხო — ამაყი და მრისხანე.
მინდა ტალღებს მივანდო სიცოცხლე და იმედი,
მინდა დავიმორჩილო მუდამ გამწყრალი ბედი.
სადა არის სინათლე სიბნელეს ც მისწურავს,
ნავიც წინ, წინ მიილტვის, ნავიც წინ, წინ მისცურავს.
თუმც ქარბუქით იღწევა, თუმც ქარბუქით ნანაობს,
ტალღებიც დათარეშობს, ტალღებიც დაქ ნაობს. .
მაგრამ ვერ შემაშინებს მე ქარიშხლის სიცილი,
ან ბრძოლით გამარჯვება, ან გმირული სიკვდილი.
მინდა ბრძოლა მედგარი, ვნანობ რაც რომ ვიხანე,
მინდა ზღვა დავამარცხო, ამაყი და მრისხანე...

**საფო მგელაძე**

**† გედეონ გომართელი**

რითი ისახელა თავი ზემორე გამოხატულმა?

ნუ თუ იმითი, რომ სოფელ გორისას პატარა აზნაური იყო, უწყინარი კაცი, მთელი თავისი ხანგრძლივი, 86 წლის, სიცოცხლე შრომა-გარჯაში გაატარა და მამული არა თუ გაფლანგა — შეიმატა კიდეც?!

იმითი ხომ არა, რომ თუმცა თვით სკოლის დიპლომი არ ჰქონდა, ქართულ ჟურნალ-გაზეთებს ბეჯითად კითხულობდა და სამშობლოს მაჯის ცემას გაფაციცებით ადევნებდა თვალყურს: ქვეყნის ლხინი ახარებდა, ჭირი ამწუხარებდა?!.

ან იქნება იმითი, რომ თუმცა სოფლის უსწავლელ კაცად ირიცხებოდა, არა შემძლებლად, მაინც შვილი უმაღლეს სასწავლებელში აღზარდა და სამშობლოს სასარგებლო წევრი შესძლვნა?!

არა და არა!

ყოველი ქართველი კაცი მოვალეა, თავისი არა თუ დედული გაფლანგოს, გაადიდოს და უკეთესად შეამუშაოს კიდეც, ქვეყნის ჭირსა და ლხინში მონაწილეობა მიიღოს და ისეთი შთამომავლობა დასტოვოს, რომ შვილი სჯობდეს მამასა...

გედეონი სულ სხვა მხრივ იყო ღირსშესანიშნავი...

იგი ხედავდა, რომ თავის სამშობლო სოფელს გორისას — იმ სოფელს, რომლის შვილებიც იყვნენ ჩვენი სახელგანთქმული მოღვაწე, პირველი ქართული პოლიტიკური გაზეთის პირველი რედაქტორი გ. წერეთელი, მისი შვილი — ცნობილი კაკი და სხ., არავითარი კულტურული დაწესებულება არა ჰქონდა: არც სკოლა, არც სამკითხველო...

გონიერი გედეონი არა ერთ გზის ურჩევდა ხალხს გაეხსნათ სკოლა, მაგრამ რჩევა მისი უშედეგოდ რჩებოდა...

ამიტომ თვითონ შეუდგა უჩუმრად საჭირო თანხის მოგროვებას...

და ისე გარდაიცვალა (დიდმარხვაში), რომ არა თუ თავისი სურვილის აღსრულებას ვერ ეღირსა, სიტყვის თქმაც ვერ მოასწრო...

სამარეს მიაბარეს...

მხოლოდ ნაალდგომევს, როდესაც მისი ქაღალდები გადასინჯეს, აღმოაჩინეს ას ოცი თუმანი (1200 მან.) გამოკრული და, დახხლოებით, შემდეგი შინაარსის ანდერძისებური მოკლე წერილი: „ეს მცირედი თანხა ჩემი მონაგარია... გთხოვთ ჩემს დამარხვაზე არავინ შეაწუხოთ: რაც ამ თანხას გადარჩეს, სოფლის სკოლასა და წიგნთსაცავ-სამკითხველოს გაღებას მოახმაროთ... ჰქმენით მადლიანი საქმე — სოფელს სკოლა გაუხსენით“...

მადლიანი ადამიანის მადლიერმა შვილმა, ივანემ, ამ თანხას მამის სამარხად გროშიც არ გამოაკლო და სოფლის თავ კაცებს გადასცა: 1000 მან. სკოლის, ხოლო 200 მან წიგნთსაცავის დასაფუძნებლად...

ეროვნული ბიბლიოთეკა

საძირკველი ჩაიყარა, ახლა სოფლის ვალია მადლიანი კაცის სიკეთე შეიშვნიოს...

მართალია თანხა—ას ოცი თუმანი—დიდი არ არის, მაგრამ თვით განზრახვა და საქციელია დიდებული და მისაბაძი...

ჩვენი ქვეყნის თითქმის ყოველ სოფელში მოიპოვება შეძლებით გედეონზე მაღლა მდგომი ადამიანი და რამდენია ისეთი, რომ ასე დაემთავრებინოს სიცოცხლე თვისი? —თითოეულმა მათგანმა რომ ასეთი მადლიანი საქმე ჩაიდინოს, მაშინ ჩვენი ქვეყნის კულტურულ წინსვლას რაღა შეაჩერებდა?

დაე, გედეონის მაგალითი სახელმძღვანელოდ დაისახოს ყველა იმან, ვისაც უნდა უქრობი სანთელი აინთოს თავის ხსოვნის გასაშუქებლად...

ნეტარ ხსენება შენ, სამშობლოს წინაშე ვალ-მოხდილო მადლიანო ადამიანო გედეონ...

**ი. წინამძღვარი**

# თამარის საფლავი სად არი?

...„სიბრძნით, სიუხვით ქებული,
დილის ცისკარი სად არი?
ის მნათობი ქვეყნიერი,
მკვდარიც ვერ ვპოვეთ, სად არი!

ი. დავითაშვილი

მოგეხსენებათ, რომ ჩვენ ვიცით ისეთი ძველის-ძველი საფლავებიც კი ჩვენი წინაპრებისა, როგორც წმ. ნინოსი (ბოდბის მონასტერი), პირველი ქრისტიანი მეფე-დედოფლისა – მირიანის და ნანასი (სამთავროს—მცხეთას დედათა მონასტერი), რომელნიც .სცხოვრობდენ 1600 წ. წინეთ; ჩვენ ვიცით აგრეთვე საფლავი თამარ მეფის პაპის-მამისა—დავით აღმაშენებლისა (გელათის მონასტერი), რომელიც სცხოვრობდა 800 წ. წინ, მაგრამ თვით სულმნათი დიდი თამარი, რომელიც გარდაიცვალა 700 წლის წინეთ, სადაა დაკრძალული—ჩვენ დანამდვილებით დღესაც არ ვიცით! ამის შესახებ სხვა და სხვა ადგილს ასახელებენ: თუშ-ფშავ-ხევსურეთს, სვანეთს, გელათს და სხვა. მართალია, ისტორიულ ცნობებს თუ დავუჯერეთ, გელათში უნდა იყოს, მაგრამ ეს გამორკვეული არ არის.

ნუ თუ ჩვენ, ქართველობამ აქამდის გადაჭრით არ უნდა ვიცოდეთ, თუ სად ჰპოვა სა-უკუნო განსასვენებელი საგანე ერთმა უდიდესთაგანმა, სათაყვანებელმა პირმა მთელი ჩვენი ხანგრძლივი წარსული ისტორიული ცხოვრებისა, და დღესაც ბურუსით და იდუმალობით უნდა იყოს მოცული ეს საკითხი?!—აკი მიტომაც მდაბიო ხალხში არ სჯერათ თამარის სიკვდილი!

მგონია უსარგებლო არ უნდა იყოს თამარის საფლავის აღმოჩენა არა თუ მარტო არქეოლოგიურ-მეცნიერულ მოსაზრებით, არამედ მით, რომ ერი ჰპოებს თვის წმიდათა-წმიდა საუნჯეს-სათაყვანებელ საფლავს, რომლის აქნობამდისინ არ აღმოჩენამ ლეგენდალური (არა ნამდვილად არსებული) ხასიათი და იერი მისცა თვით თამარ მეფის ცხოვრებას!

მხედველობაში მისაღებია ის მოსაზრებაც, რომ ქართველი ერი რადაცნაირად ვერ იგუებს და ვერ ინელებს უხილავ-კანუენებულ საგანთა, თუ მცნებათ, ვინაიდან (არჩილ ჯორჯაძის დახასიათებით)... „ქართველს აქვს თავისი საკუთარი ტემპერამენტი და ხასიეთი... ...„ქართველი ინტელიგენტი (მე კი ვიტყვი საერთოდ ქართველი. ე. კ.) არსებითად საამქვეყნო კაცია, მისი სიცოცხლის ფესვები აი ამ მიწაშია ჩაფლული, რომელზედაც სდგას“. (იხ. სახ. გაზ. № 552—912 წ.).

მართლაც და რა საჭიროა ამ მხრივ ჩვენი სულის შებორკვა, განა არ კმარა ისიც, რომ ქართველი ერის სული მრავალ-ტანჯული ამირანის სახით, ბევრჯელ შებოჭვილა და ახლაც მიჯაჭვულია კავკასიონის ქედს, რომელიც რა თქმა უნდა, „მოვა დრო და თავს აიშვებს,
იმ ჯაჭვს გასწყვეტს გმირთა გმირი,
სიხარულათ შეეცვლება
იმდენი ხნის გასაჭირი“!

**ერმალოზ კახი**

## ის არ ყოფილხარ!

(ძღვნად ჩემს თანამოზიარეს)

როდესაც გნახე მუშა მშრომელმა,
სიტყვა სხივმფენი რომ გამაგონე,—
ჯერ აღმაფრთოვნე მომავლის რწმენით,
შემდეგ კი, ძმაო, მთლად დამალონე...
დიდისხნის ნაცნობს შეგხვდი გულითა,
არ მშურდა შენთვის ჩემი ძალ-ღონე,
მაგრამ მოვსტყუვდი შენშიაც, ძმაო,
ის არ ყოფილხარ რაც რომ მეგონე!..

**ნ. გურჯაანელი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



ალ. ივ. სუმბათაშვილი-იუჟინი

სახელგანთქმული მსახიობ-დრამატურგი, „ლალატი“-სა და სხ. დამწერი. (სურათი გადაღებულია ათი წლის წინად)

# „ლალატი“,

## ალ. სუმბათაშვილისა

ქართ. დრამ. დასის მიერ 25 აპრ. სახალხო სახლში დადგმული.

არის პიესები, რომელთა ნახვა არ მოგბეზრდებათ: რაც უფრო მეტჯერ ნახავთ, უფრო მეტჯერ გინდათ იხილოთ. ასეთია „ლალატი“. ასეთია ყოველი დიდებული ნაწარმოები, ყოველი გენიალური ქმნილება. „ლალატი“ იმდენჯერ გვინახავს, რომ რიცხვი აღარც კი გვახსოვს, მაგრამ გაივლის ცოტა დრო, კვლავ გვინდა, ერთხელ კიდევ დავეწაფნეთ, ერთხელ კიდევ დავტკბეთ საუცხოვო ნაწარმოებით. პიესა თითქმის ზეპირად ვიცით და როდესაც კვლავ ვხედავთ „ლალატს“, მის დიად შინაარსთან, იდეიურ სანახაობასთან ერთად, ჩვენ გვაინტერესებს მსახიობთა ინტერპრეტაცია, მათი შემოქმედებაც. გვინდა მოვისმინოთ, თუ ნაცნობი სიტყვები, ტირადები როგორ იქნება წარმოთქმული, შესრულებული. როგორ ახალ შთაბეჭდილებას გამოიწვევს.

ტრაგედიის გარჩევა-დაფასებას არ შევუდგებით: იგი კარგაა დაფასებული, როგორც კრიტიკის, ისე ფართო საზოგადოების მიერ, მხოლოდ ეხლა კი ვიტყვით, რომ „ლალატი“ სიმბოლიური ნაწარმოებია: ყოველ სიტყვას ღრმა მნიშვნელობა აქვს, იგი წმინდა, პატრიოტიული ტრაგედიაა, ტრაგედია —მთელი ტანჯულ-წამებულ ერისა, ტრაგედია — ერის წარსულის, აწმყოს და მომავლისა, ტრაგედია— ეროვნული სულის კვეთებისა. პიესაში ყოველი მომქმედი პირი, შესანიშნავი ტიპია, ნამდვილი ქართული და არა გადმოკეთებული, გადმომახინჯებული რომელიმე უცხო ყალბ ნაწარმოებიდან. ყოველ პიროვნებაში ქართული სისხლი სჩქეფს. ზეინაბი იმდენად ძლიერი და შესანიშნავი პიროვნებაა, რომ იშვიათად თუ იპოვით ამ გვარს საკაცობრიო-მსოფლიო ლიტერატურაში. მხოლოდ სოფოკლეს „ანტიგონე“, შილლერის „ორლეანელი ქალი“, ევრიპიდეს „მედეა“, შექსპირის „ლედი მაკბეტი“ და იბსენის „ნორა“ შეიძლება დავასახელოთ მასთან შესადარებლად. ზეინაბი ეროვნული გმირი— ზე-ქალია. მისი ღრმა მისსია, მოწოდება — ეს ქართველ დედის სულის კვეთების გამომხატველია.

პიესის ტეხნიკურ მხარეზედაც ბევრი ლაპარაკი არ არის საჭირო მისი ინტრიგა საუცხოვოდ იწყება და საუცხოვოდაც თავდება. ეგრედ წოდებული დრამატიული კოლიზია ისე გასაკვირველად ვითარდება, რომ მაყურებელს ერთწუთსაც არ სწყინდება და მთლად აჯადოვებს მისი მოქმედების სვლა. „ლალატი“ ჩვენი ეროვნული თეატრის გვირგვინია, ჩვენი რეპერტუარის მასკოტა! იგი უცხო სცენისათვის თუ თავის დღეში ინტერესს არ იქნება მოკლებული, ჩვენი სცენისათვის უკვდავია აი, უკვე რამდენი ხანია, ეს პიესა იდგმება ჩვენს სცენაზე და ჩვენდა სამწუხაროდ ერთხელ ვერ იქმნა რიგიანად დადგმულ-შესრულებული. როდესაც საკუთარი შენობა გვქონდა, მაშინ ვერ შევძელით მისი ღირსეულად მოწყობა და ეხლა ხომ უფრო ვერ შევძლებთ.

რასაკვირველია, 25 აპრილს წარმოდგენილმა „ლალატმა“ ჩვენ ვერ დაგვაკმაყოფილა. სუსტი წარმოდგენა იყო. ერთი მხრივ თითქმის საყვედურის თქმაც გვეძნელება. მეტად ცუდ პირობებში უხდებათ ჩვენს მსახიობებს მუშაობა,

ადამიანს თუ თავის ადგილი, თავისი კერა არა აქვს, ძნელია რაიმე საქმის მოწესრიგება, მისი გაფართოვება თუ შესრულება. ერთი სიტყვით, ჯერ ჩვენ „დადასტი" მხატვრულად შესრულებული არ გვინახავს. ეს მხოლოდ მომავლის ოცნებაა. ამ საღამოსაც ჩვეულებრივი წარმოდგენა იყო. არ იყო მთლიანი ანსამბლი. ერთი მხრით თუ ნ. დავითაშვილი (ზეინაბი), ვ. აბაშიძე (ბესო), ვ. გუნია (ოთარ-ბეგი), ი. ზარდალიშვილი (ერეკლე) და ალ. იმედაშვილი (დათო) ჰარმონიულად ამეტყველებდნენ სუმბათაშვილის გმირებს, მეორე მხრით ბ. კორიშელი (სოლეიმანი), გ. [illegible]იშხნელი (ანანია), ან. ქიქოძე (ისახარ), პიერეტტა (რუქაია) თავიანთი დისონანსით არღვევდნენ შთაბეჭდილებას. მთლად მოგვხიბლა ნიჭიერმა მსახიობ-ქალმა ნ. დავითაშვილმა ზეინაბის შესრულებით. საუცხოვო რამ იყო. მისი თამაში—ეს მთლად გულწრფელი განცდაა, რომელიც დიდ თანაგრძნობას იწვევს მაყურებელში. მესამე მოქმედებაში იმ გვარი ემოციით და საუცხოვო ბუნებრივი პათოსით იყო გადმოცემული მრავალტანჯულ დედოფლის სულის კვეთება, რომ ხალხი კვლავ აცრემლდა. ქ-ნ დავითაშვილის ზეინაბი—ვირტუოზული ფიგურაა. მსახიობქალმა გაგვაოცა თავისი მდიდარი მიმიკით. თუმცა კი უნდა აღვნიშნოთ, რომ უკანასკნელი მოქმედება—მისი სუსტი ადგილი არის. შეიძლება ეს შეუმჩნეველიც დარჩენილიყო, რომ ჩვენ სახელგანთქმულ მსახიობქალს ნ. ჩხეიძეს არ გავენებივრებინეთ, თავისი დიადი ნიჭით, რომელიც შეუდარებლად ასრულებს მთლად ამ მოქმედებას და განსაკუთრებით კი ფინალის სცენას: ჩვენ ვერ დაგვივიწყია ნ. ჩხეიძის ვულკანისებური ტემპერამენტი, მისი შესაზარი ტრაგიკული განცდა. ნ. დავითაშვილს აკლია ის ცეცხლის სიძლიერე, რომლითაც ნ. ჩხეიძე გვდაგამს ხოლმე. ნ. დავითაშვილი, ნ. ჩხეიძეს შემდეგ შესანიშნავ აღმსრულებლად უნდა ჩაითვალოს ზეინაბის როლისა.

რა უნდა ვთქვათ ჩვენ საყვარელ მსახიობ ვ. აბაშიძეზე იმის მეტი, რომ იგი დიდი იმპროვიზატორია. ვ. აბაშიძეს თამაში—ეს თვით სიცოცხლეა, ცხოვრება, მშვენიერი და თვალწარმტაცი. მისი ბესო ეს მსახიობის ხელოვნების ტრიუმფია! ვ. გუნიაც ხომ შეუდარებელი ოთარ-ბეგია. არა ერთხელ მოუყვანია ჩვენი საზოგადოება აღტაცებაში თავისი საგანგებო შესრულებით, მაგრამ ამ საღამოს უგულოდ თამაშობდა მსახიობი, ეს თვისება მისი ხშირი სტუმარია. შესანიშნავი დათოა ალ. იმედაშვილი. ეს ტიპიური განსახიერება როლისა. ნიჭიერი და ჭკვიანი მსახიობი ბ. კორიშელი მოისუსტებდა სოლეიმანის როლში. მსახიობმა სოლეიმანის მშვენიერ უკანასკნელი მოქმედების მონოლოგებს სრულიად დაუკარგა თავისი კოლორიტი, აღმოსავლეთის ელფერი.

მოგვეწონა ბ-ნი ზარდალიშვილი (ერეკლე), მსახიობი კარგი ტემპერამენტით თამაშობდა. ჩვენს სცენაზე მასზედ კარგა ეს როლი ჯერ არავის შეუსრულებია.

ქ-ნი ქიქოძე ვერ იყო ნამდვილი ისახარი. ისახარი შესანიშნავი პიროვნებაა. მას საერთოდ დიდი ყურადღებით უნდა მოეპყრან. როლი თუმცა პატარაა, მაგრამ შესასრულებლად ძნელი. საჭიროა ერთგვარი ინტონაციის შერჩევა, მისტიური ხმა, რომელიც ყოველი სიტყვის წარმოთქმასთან ყრუანტელს უვლიდეს ადამიანს ტანში. ისახარი თითქოს საიქიოდან მოსულს უნდა გვანდეს. სუსტი იყო ქ-ნი პიერეტტა (რუქაია): მომხიბლავი ზღაპარი მეტად აჩქარებული ტემპით დაიწყო და აკი მალეც გაათავებინეს. უდროოდ ჩამოარეკინეს ზარი და სწორედ შუა ადგილზე შეაჩერეს. ასეთი დეფექტები არ ეპატიებათ.

დანარჩენ მოქმედებებშიაც სუსტი შთაბეჭდილება დასტოვა ქ-ნმა პიერეტამ. სხვა მსახიობები კი შესამჩნევად მოისუსტებდნენ.

ვ. გარრიკი



**„განათლების" საზოგადოებამ** თამარობას, 1 მაისს, სახაზინო თეატრში მართლა და საყურადღებო დილა გამართა, ამ დღიდან საფუძველი დაედო თამარ დიდის საჯარო დღეობას და შემოსავალიც ფრიად სასარგებლო მიზნისთვის—ქართველ ქალთა მომავალ სემინარიისთვის იყო დანიშნული. მ. ჯანაშვილმა შინაარსიანი მიმოხილვა წაიკითხა, გრ. დიასამიძემ—აკაკის:

ქართველ ქალის დახასიათება და აკაკისავე ლექსი, გრ. რობაქიძემ შვენიერი სიტყვა წარმოსთქვა. საუცხოვო იყო, სხვათა შორის, როგორც ახალი ხილი ცოცხალი მოძრავი სურათი „თამარ მეფის ტახტზე აყვანა“. ამ სურათის დადგმაში რეჟისორმა კ. ანდრონიკაშვილმა საკმაო უნარი გამოიჩინა, მაგრამ, ჩვენის აზრით, „შვიდთა სამეფოთა“ წარმომადგენელნი დიდებულთა შორის საკმაოდ არ იყვნენ წარმოდგენილნი. ეს სურათი დიდად საყურადღებოა და ურიგო არ იქნება, რომ ახლო მომავალში თუ ვერ გაიმეორებენ, მომავალ თამარობას მაინც შევსებით დასდგან. მონაწილეობდა ნ. კავსაძის გუნდიც. სამეტყველო ნაწილი ცოტა გაჭიანურებული იყო, შემდეგში ესეც უნდა აიცილონ. საზოგადოთ, დიდი მადლობის ღირსნი არიან „განათლების“ საზოგადოების თაოსანნი, ასეთი დილის გამართვისთვის. იმედია, ეს დღე სამუდამოდ დაიდება და საჭიროა, ამ დღესასწაულს უფრო ფართე ხასიათი მიეცეს.

უსავანო

**ქართველ ქალთა** ჭრა-კერვის სკოლამ თავისს სასწავლებელში (გაბაანთ შესახვევში) 24 აპრ. გვიჩვენა, რა მზრუნველი და შეგნებული დიასახლისი ხელმძღვანელობს მას. ეს სკოლა, როგორც მკითხველთ მოეხსენება, ამ ოცი წლის წინად დააფუძნა ჩვენმა მხცოვანმა მწერალმა ქალმა ეკ. გაბაშვილისამ რავდენიმე თავგამოდებულ ქალის დახმარებით და აგერ უკვე თვალსაჩინო ნაყოფს იძლევა. სკოლაში განსაკუთრებით ღარიბ-ღატაკთა ქალიშვილები სწავლობენ და მომავალ შეგნებულ ქართველ ქალებად იზრდებიან. ამის ცხადი დამამტკიცებელი იყო, სხვათა შორის, 24 აპრ. გამართული „სალიტერატურო დილა“: ყოველივე— სცენა, ფარდა, პროგრამები, სიმღერები, პიესა თუ სხ., თვით ადგილობრივ მასწავლებელ და მოწაფე ქალთაგან იყო მომზადებული,—პროგრამები დახატულ-დაწერილი, ფარდა ფერად ნაჭრებისაგან ორიგინალურად გამოჭრილ-ამოკერილი (ქართველი და ჭრა-კერვის ნივთები)... ახლა საბავშო პიესები, სიმღერები, ცხოველი სურათი!.. ასეთი მადლიანი სალიტერატურო დილა არ გვახსოვს და ფრიად სასურველია გაიმეორებდენ სახალხო სახლში ანუ კლუბში ბავშვებისათვის... ყველა ამ სიკეთის შემქმნელი თურმე სალომე გიორგის ასული მაღალაშვილისა ყოფილა, რისთვისაც დიდი მადლობის ღირსია. გინახავთ თუ არა ღარიბი ოჯახი, მაგრამ კოპწიად დაკრიალებული, ყოველი ავეჯი რომ გეალერსებათ და მისი დიასახლისის კდემა-მოსილებით შემოგღიმით. სწორედ ასეთი იყო ხსენებული სკოლის დილა და მის მზრუნველთა თაოსნობა. საზოგადოების ვალია, მის წინსვლას ხელი შეუწყოს. საერთოდ ბავშვებმა დიდი სასცენო და სამეტყველო უნარი გამოიჩინეს, განსაკუთრებით აღსანიშნავია მეტად ნიჭიერი ბავშვი, ამავე სკოლის მოწაფე ქალი თამარა დეკანოზიშვილი: ხმა, მიმიკა, ცეკვა და ბუნებრივი დიდი ნიჭი. საჭიროა ყურადღება მიექცეს.

წინა-ვარ

**ხარფუხის კლუბში** თამარობას გაიმართა თამარის საღამო. საზოგადოება ბლომად დაესწრო.

**სახალხო სახლში** პარასკევს, 29 აპრ. ვლ. ჩერქეზიშვილის 30 წლის სცენაზე მოღვაწეობის აღსანიშნავად სახ. სახლ. არს. ქართ. წარმ. მმართ. წრემ წარმოადგინა I „ხანუმა“, I, II და IV მოქმ. და „დედის ერთა“ ვოდ. 1 მოქმ., რომლებშიაც მოდღესასწაულემ მშვენივრად ითამაშა. მიულოცა სხვა და სხვა წრემ და საჩუქრები მიართვა. მაღალ ფასების გამო ხალხი ნაკლებად დაესწრო. წარმოდგენა დაიწყო 9 ს. გათავდა $^1/_2$1 საათ.

ვ—ო

**ეგ. ნინოშვილის** დილაზე სახალხო სახლში კვირას, 1 მაისს, პ. გელეიშვილმა წაიკითხა ლექცია, რომლითაც მკაფიოდ და ნათლად გააცნო ხალხს ეგ. ნინოშვილის ბიოგრაფია და მისივე შემოქმედება მწერლობაში. ლექსები წაიკითხეს: ახოსპირელმა, შინატეხელმა, პატარა ბავშვმა (ქუჩიშვილის ლექსი), ნ. ჩხიკვაძემ, ვ. რუხაძემ სხ. ალ. წუწუნავამ დასდგა ცოცხალი სურათები ეგნ. ნინოშვილის „განკარგულებიდან“ და ვ. რუხაძის ლექსიდან, რომელმაც დიდი შთაბეჭდილება დასტოვა საზოგადოებაზე.

ვ.

**ქ. სიღნაღში**, პარასკევს, 15 აპრ. ადგილობრივმა დრამ. წრემ წარმოადგინა ვ. გუნიას „და-ძმა“. კარგი ოტია იყო სიკო შავლიაშვილი, და შეუდარებელი მარინე—ვარდანაშვილი დანარჩენთაც პირნათლად შეასრულეს თავისი მოვალეობა. გადიას აღმასრულებელი მოისუსტებდა. ვუსურვებთ მეტს მხნეობას.

მო—ლი

**დიდუბის ტაძარში** კვირას, 1 მაისს, თამარის დღეობას ანტონ ეპისკოპოსის თანამწირველობით გადაიხადეს წირვა-პარაკლისი. ხმატკბილად გალობდა ქართველ მგალობელთა გუნდი. შინაარსიანი სიტყვა წარმოსთქვა ეპისკოპოსმა ანტონმა. საზოგადოება ბევრი დაესწრო.

ვეფხო.

**ს. ლესის** (გურია) სკოლის შენობაში 11 აპრილს ადგილობრივ უფასო წიგნთსაცავ-სამკითხველოს სასარგებლოდ წარმოადგინეს ივ. გომართელის 5 მოქ. პიესა „ქოხში“, პიესა ნათლად გვისურათებს ეხლანდელ სოფლის დუხჭირ ცხოვრებას. ეს პიესა დილით ადგილობრივ სკოლის მოწაფეებისა და გარეშე ბავშვებისათვის წარმოადგინეს, რომლის დასასრულ ბავშვებს გააცნეს მათი საყვარელი მგოსანი შიო მღვიმელი. შემდეგ ადგილობრივი სკოლის მოწაფეებმა მკვირცხლად და მოხდენით წაიკითხეს შიოს ლექსები, რაშიაც სჩანდა მასწ. მარო სალუქვაძის შრომის უნარი. საღამოს დარბაზში ხალხის ტევა არ იყო და ბევრი უკან გაბრუნდა უადგილობის გამო. საუცხოვოდ შეასრულეს როლები ბ. გურგენიძემ (თამარი), ნ. შარაშიძემ (საჩინო), ც. ჭყონიამ (ნატია), დ. გოგიჩაიშვილმა (დომენტი). კარგები იყვნენ ჯორბენაძე (მარიკა), მ. სალუქვაძე (ელისაბედი), გრ. ჩარკვიანი (ლუკა), ე. სარქველაძე (თალხანი) მ. კვაჭაძე (ექიმი), მათ ხელს უწყობდენ პ. ს—ძე (მამასახლისი) ი. კუ—ია (სბორჩიკი) და სხ. შემდეგ წარმოადგინეს ვოდ. „უბედური დღე“, რო-

მელშიაც ბევრი აცინეს საზოგადოება ალ. ჯაყელმა (გოგია), ც. ჭყონიამ მატრონია), გ. ჩარკვიანმა (ყობო). ხალხი ძლიერ კმაყოფილი და ნასიამოვნები დაიშალა

ულრმე ი მადლობის ღირსნი არიან: ბარნაბა შარაშიძე, ქ-ნი რახილ მგელაძე, მასწ. მარო სალუქვაძე და სხვანი, რომელთა მეოხებითაც მოეწყო ეს წარმოდგენა.

პ. ია ძე

# წვრილი ამბები

**მგოსანი ირ. ევდოშვილი** გარდაიცვალა 2 მაისს. დღეს დაკრძალავენ დიდუბეში.

**მსახიობი ვლ. ალ.-მესხიშვილი** თბილისს ჩამოვიდა.

**დრამატურგ-მსახიობი** ალ ივ. სუმბათაშვილი-იუჟინი, „ღალატის“ დამწერი, თბილისს მოდის რუსულ წარმოდგენებში მონაწილეობის მისაღებად.

**მგოსანი ს. აბაშელი** სოხუმიდან თბილისს დაბრუნდა. ამ ჟამად უკეთ არის. საჭიროა საზაფხულოდ აგარაკში გაიგზავნოს.

**ქართველ მოღვაწეთა აგარაკის** ასაშენებლად შემოსწირეს: ანნა მაჭავარიანმა 3 მან, ივ. მესხმა—2 მ., ივ. სვიანაძემ (ნაცნობთა შორის შეკრებილი: ი. სვიანაძე - 2 მ, ვ. და კ. ქუმსიშვილებმა—2 მ., ვ. ჩოჩურიძე—1 მ., ი. მურღული—1 მ.)—6 მ.; კირ. კოპლატაძემ 17 მ. 50 კ. (ალსტაფის სადგურზე შეკრებილი) და თევ. გ ორ. ლობჯანიძემ—15 მ. 50 კ. (შეკრებილი: თევ და ელენე ლობჯანიძენი—სამსამი მან., ის. გავაშელი—2 მ, ალექსი, ისაია, მალაქია, ივანე, მიხეილი და ალექსი ლობჯანიძენი თითო მან., დ. ელერდაშვილმა—1 მ. მიხ. სვ. ლობჯანიძემ—50 კ.).

**სათეატრო ფონდისთვის** პლ. ლეკიშვილისაგან ს. ჭყვიში (ლეჩხუმის მაზ.) სახალხო წარმოდგენის დროს დამსწრეთა შორის შეკრებილი—1 მ. 70 კ.

**ქართ. კულტ. მოყვ. საზ-ის** სასარგებლოდ კნ. ბეგთაბეგიშვილის თაოსნობით 15 მაისს სეირნობა გაიმართება ხარფუხის კლუბში.

**შიო მღვიმელის დილა** სახალხო სახლში 22 მაისს გაიმართება.

**მ. მ. საფ.-აბაშიძისა** უკეთაა.

**სახელ-განთქმული პიესა** ბერშტეინისა „ურიის სისხლი“, პირველად წარმოდგენილ იქნება ქართველ მსახიობთაგან ოთხშაბათს, 1 ივნისს სახალხო სახლში. ამ პიესამ საფრანგეთში და სხვაგან დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია და მთელი ევროპის პრესა აალაპარაკა.

**სახალხო სცენის მუშაკთ**: 1) ნ. გოცირიძეს წელს 25 წ. უსრულდება, რაც სცენაზე გამოვიდა, ხოლო რაც სახალხო სცენაზე უშრომის ფასოდ მოღვაწეობს—20 წ.; 2) მ. თუმბელაშვილს—23 წ., რაც ავჭლის აუდიტორიიდან იმავე სახალხო სცენას მოკარნახედ ემსახურება.

**მის. ხერხეულიძემ** ქ. შ. წ.-კ. საზ. სახალხო კითხვების მომწყობ სექციას სთხოვა: იშუამდგომლეთ, რათა ნება მომცეს ყოველ კვირა დღეს დ. ჩოხატაურში საბავშო კითხვები მოვაწყოვო.

**ქუთაისში** 7 აპრილიდან წარმოდგენებს მართავს საოპერო დასი ბ. ელენინის მეთაურობით. ბ. ზალიპსკისა და ბ. პოლიაევის გარდა, დასი მოისუსტებს. ორკესტრი და ხოროც სუსტია. ჯერჯერობით დასდგეს ორი პიესა: „ტრავიატა“ და „სევილიელი დალაქი“. პირველ წარმოდგენაზე თეატრი სავსე იყო, მეორეზე კი ნაკლები.

**ქუთაისის ქართ. დრამატ. საზ-ბის** გამგეობას უკვე ჰქონდა პირველი სხდომა. აირჩიეს თანამდებობის პირნი: ა. მ. კრინიცკი (თავმჯდომარე), ბ. ა. ფაღავა (თავმჯდომარის ამხანაგი), ბ. პ. უზნაძე (ხაზინადარი), ა. წერეთელი (ხაზინადრის თანაშემწე) გამგეობის დანარჩენი წევრნი არიან: მეფისაშვილის ასული, მ. ლორთქიფანიძისა, პ. მდივანი, გ. ლაღიძე, ბ. კოსტავა. ამათში ახლად არჩეულნი არიან: ბ. ა. წერეთელი და ბ. კოსტავა, დანარჩენები კი ისევ ძველები არიან. გამგეობა უკვე შეუდგა მომავალ სეზონის თადარიგს.

**ქალაქის თეატრი** მაისის ბოლოს დაიხურება, რადგანაც ივნისის პირველ რიცხვებიდან შეუდგებიან მის შეკეთება-შელამაზებას დრ. საზ. გამგეობამ უკვე მიიღო თბილისიდგან ქართული თეატრის სკამები. სკამებს თეატრში დააწყობენ მომავალ სეზონისათვის.

**შოთა რუსთველის** სურათი „ახალ კლუბის“ ბალში ცოცხალი ყვავილებით მორთეს-მოქარგა მებაღე ცისკარაშვილმა.

**ვ. აბაშიძე** ბორჯომს იყო საგასტროლოდ, როდესაც დიდი ზეიმით შეხვდენ. მსახიობი ამ ზაფხულს ლამ ს აქ თბილისში დარჩეს.

**ნინო ჩხეიძის** მონაწილეობით 7 ივნისს სახ. სახლში წარმოდგენილ იქნება „მარგარიტა გოტიე“.

**ჩვენს ხელის მომწერთ** (თბილისის გარედ) ორი კვირის წინად დავუგზავნეთ ქართველ მოღვაწეთა აგარაკის ამშენებელი კომიტეტის მოწოდებანი. კომისიას უკვე უხვი შემოწირულება მოსდის ჩვენი ხელის მომწერთაგან, რისთვისაც რედაქცია ყველას მადლობას უძღვნის. ახლა თბილისს ხელის მომწერთ და ნომრობლივ მყიდველთ ვუგზავნით ამავე მოწოდებას და იმედია ყველა მათგანი ეცდება, შეძლებისა დაგვარად შემწეობა აღმოუჩინოს ქართ. კულტ. მოყვ. საზოგადოებას, რომ მოღვაწეთა აგარაკის აშენებას მალე შეუდგეს. ჯერ ხნობით შეკრებილია სამას თუმანზე მეტი.

რედაქტორ-გამომცემელი **ანნა იმედაშვილისა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „ახალი კლუბი“

**ერთი კვირის პროგრამა 8—15 მაის.**

**ორშაბათი** — სინემატოგრაფი, სიმებიანი ორკ.

**სამშაბათი**—საოჯახო საღამო; ორკესტრი

**ოთხშაბათი** —სინემატოგრაფი, სიმებიანი ორ.

**ხუთშაბ.**—ქართული წარმოდგენა (უფასოდ);

**პარასკ.** სინემატოგრაფი, ორკესტრი.

**შაბათი**—ოპერეტტა.

**კვირა**—ორკესტრი; სინემატოგრაფი.

**დასაწყისი:** კონცერტებისა საღამ. 9 საათ., წარმოდგენისა და სინემატოგრ. საღ. 8 ს.
**შესასვლელი** ფასი ჩვეულებრივია, მხოლოდ სამშაბათს და შაბათს იხდიან: მანდილოსნები და სტუდენტები (ფორმაში) 65 კ. მამაკაცები 1—05 კ.




## „განათლება“ ჟურნალ-გაზეთებს კანტორა

ქ. თბილისში ოლღას ქუჩა № 6.

ეგზავნება აგენტებს: „თეატრი და ცხოვრება“, „თან. აზრი“, „ჟურ. მათრახი“, „საქართველო“, „Тифлисскій Листокъ“, „Русское Слово“, „ჭორიზონი“, ყველის კალენდრები და სხ. და სხ. ქართული წიგნები. ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ, почтовый ящикъ № 96, С. Таварткиладзе.



**მარ. რომანიშვილისა**

სახალხო სცენის მოყვარე, თითქმის ათი წელიწადია სახალხო სცენას ემსახურება. ამ ქამად ავადაა. სახალხო წარმოდგენების მმართველი წრე 10 მაის მის საპატიოდ წარმოადგენს „ოტელოს“.

## სახალხო სახლი

**სამშაბათს, 3 მაისს, 1916 წ. ქარ. დრამ. დასის მიერ ალ. იმედაშვილის მონაწილეობით** წარმოდგენილი იქნება:

# ო ტ ე ლ ო

ტრაგედია 5 მოქ. უ. შექსპირისა, თარგ. ი. მაჩაბლისა

**დასაწყისი საღ. 8 საათზე**

ადგილების ფასი ყველასთვის ხელმისაწვდენია

## ნაძალადევის თეატრი

კვირას **15** მაისს

ნაძალადევის სცენის მოყვარეთა და მსახიობ **კ. ყიფიანის** მონაწ. წარმოდგენილი იქნება

# ს ა მ შ ო ბ ლ ო

დრამა 5 მოქ. დ. ერისთავისა

მონაწილეობენ: მარგველაშვილი, ს. გოგაშვილისა, კამკამიძე, ბერძნიშვილი, მიხაშვილი, ბატ. **გ. იმხნელი**, გაბინაშვილი, კუდუხაშვილი, სვანიძე, ძაძამია, გოგაშვილი, ლადოშვილი, კანდელაკი, შავიშვილი, ხიხუა, ბედინაშვილი, მაჭავარიანი და სხ

**დასაწყისი საღამოს 8 ს.**

ადგილების ფასი **20** კაპ. **40** კაპ.

მორიგი გამგე მეტეხელიძე.

რეჟისორი ს. გოგაშვილი.

**სცენის მოყვარე-მუშაკთა საყურადღებოდ:**

**И. Т Полумордвиновъ**

## Списокъ пьесъ

На грузинскомъ языкѣ,

разрѣш. къ представл. на сцен Кавк. Края. ц. 40 коп.

Тифлисъ Цензурный Комитетъ

Дозволено Военной Цензурой სტამბა „სორაპანი“

### უკვე იბეჭდება

მეველასათვის საჭირო და სასარგებლო წიგნი

# უცხო სიტყვათა სრული ლექსიკონი

**ანუ ქართულს ენაში შემოსულ უცხო სიტყვათა ახსნა-განმარტება**

**შედგენილი იოსებ იმედაშვილის მიერ**

მეორედ შევსებულ-შესწორებული (პირველ გამოცემაზე ბევრად გადიდებული). წიგნში ახსნილ-განმარტებულია სამოც ათასამდე (60000), უცხო ენათა გან (ფრანგულ, ინგლისურ, ლათინურ და სხ.) შემოსული, სიტყვა და ანდაზა წიგნი შეიცავს ათას ექვსას სვეტამდე, მოზრდილი ზომისაა, აწყობილი იქნება ახალი კორპუსის მთავრული და ჩვეულებრივი ასოთი, ხასმული ინგლისურ საუკეთესო კალენკორის ყდაში, მოოქროვილ-მოვარაყებულ ასო არშიებით შემკული. ვინც ისურვებს, წიგნზე დაიბეჭდება მისი სახელგვარის პირველი ასოები.

ხელისმომწერთათვის გაგზავნით ღირს **ორი** (2) **მანათი** (ფულის გადახდა შეღავათითაც შეიძლება: ხელის მოწერის დროს 1 მან., დანარჩენიც—წიგნი გამოსვლის ჟამს **ახალ ხელის მომწერთათვის 2 მან. 50 კაპ.**

ხელის მოწერა მიიღება: ჟურ. **„თეატრი და ცხოვრების“** რედაქციაში „სორაპანი“-ს სტამბაში). **ფოსტით:** Тифлисъ. Ред. **„Театри да Цховреба Іос. Имедашвили.**

Тифлисъ Ред. „Театри да Цховреба“ Іос. Имедашвили.

---

# 1916 მიიღება ხელის მოწერა 1916

**ყოველკვირეული სათეატრო, სალიტერატურო, სახელოვნო-სამხატვრო, საზოგადოებრივ შინაარის სურათებიანი ჟურნალი იუმორისტული განყოფილებით, შარჟებით და კარიკატურებით**

| | | |
|---|---|---|
| **წელიწადი II მეორე** | **„თეატრი და ცხოვრება“** | **წლიურად 5 მან. ნახ. წლ. 3 მან.** |

**წელიწადი გამოცემისა მეორე**

**1916 წელსაც გამოვა**

ჩვეულებრივი სრული პროგრამით, უკვე ცნობილი რედაქციით, სახელმოხვეჭილ და ახალგაზრდა მწერალთა მონაწილეობით.

**ჟურნალი პარტიათა გარეშეა, პროგრესიული მიმართულებისა**

**ჟურნალში ხუთასამდე სურათი დაიბეჭდება**

**ფასი:** წლიურად ისევ 5 მ., ნახევ. წლით—3 მ. ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება. ხელის მოწერის დროს—2 მ. მაისში—2 მ. ენკენისთვეს 1 მ. ვინც მთელი წლის გადასახადს ამ თვეშივე შემოიტანს, ამა ქრისტეშობისთვის ნომრებიც გაეგზავნება.

**ხელის მოწერა მიიღება** „სორაპანის“ სტამბაში (მადათოვის კუნძ. № 1, ვორონცოვის პატარა ხიდის ყურში, მუხრან-ბატონის სახ.) იოსებ იმედაშვილთან დილით 9—2 ს. საღ. 5—7 ს. **ფოსტით:** Тифлисъ, ред. **„Театри да Цховреба“**—Іос. Имедашвили.

ტელეფონი № 15—41.

რედაქტორ-გამომცემელი **ანნა იმედაშვილი**